




პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტსა
და საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და
აუდიტორთა ფედერაციას
შორის გაფორმებული




ჩ ა თ ვ ლ ე ბ ი ს მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

წინამდებარე ჩათვლების მემორანდუმით (შემდგეში – მემორანდუმი) პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტი (პბი) და საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია (ბაფი), გამოხატავენ რა ურთიერთთანამშრომლობის ნებას კადრების საგანმანათლებლო და პროფესიული სერთიფიცირების სფეროში, თანხმდებიან შემდგეზე:

1. განახორციელონ საგანმანათლებლო სფეროში ურთიერთთანამშრომლობა;
2. პბი-ის სტუდენტი, რომელსაც ჩაბარებული აქვს F1 „ბუღალტერი ბიზნესში“ წიგნის გამოცდა, თავისუფლდება ბაფის პროფესიული პროგრამის F1 „ბუღალტერი ბიზნესში“ წიგნის გამოცდისგან;
3. პბი-ის სტუდენტი, რომელმაც რომელიმე წიგნში ვერ გადალახა დასკვნითი სემესტრული შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, მაგრამ მიიღო 35 ან მეტქულიანი შეფასება, თუ იმავე წიგნში ბაფის გამოცდაზე მიღებული აქვს დადებითი (50 და მეტი ქულა) შეფასება, უფლებამოსილია მიმართოს ინსტიტუტის ხელმძღვანელობას განცხადებით და მოითხოვოს ინსტიტუტის სემესტრული გამოცდის ჩაბარებულად აღიარება ბაფში მიღებული შეფასების დამამტკიცებელი საბუთის საფუძველზე.
4. მემორანდუმი შესაძლოა დაზუსტდეს დამატებითი შეთანხმებით.
5. მემორანდუმში ცვლილება ან დამატება შესაძლებელია შევიდეს ნებისმიერ დროს, ერთ-ერთი მხარის ინიციატივისა და ორივე მხარის წერილობითი თანხმობის საფუძველზე.
6. მემორანდუმი დადებულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან.
7. მემორანდუმის მოქმედება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით.
8. მემორანდუმი შედგენილია ორ ეგზემპლარად და თითო ეგზემპლარი ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

პბი

 რევაზ კაკაბიძე
 დირექტორი

ბაფი

 დავით გ. გ. გ.
 დირექტორი